

# ურბანული პოლიტიკა და დეველოპმენტის რეგულირება საქართველოში

## URBANE POLITICS AND CONSTRUCTION DEVELOPMENT REGULATION IN GEORGIA

ნინო ზურაშვილი,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიკისა და  
ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

**დავით ნარმანია,**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკისა  
და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი,  
ეკონომიკის დოქტორი  
თბილისი, საქართველო

NINO ZURASHVILI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Doctoral student of Faculty of economics  
and business

DAVIT NARMANIA

Doctor of economics, Ivane Javakhishvili  
Tbilisi State University  
Professor of economics and business  
faculty, Georgia, Tbilisi

### აცნობია

თანამედროვე ეპოქაში ურბანიზაციის პრო-  
ცესების განვითარებასთან ერთად აქტუალ-  
ური გახდა ურბანული პოლიტიკა რომელსაც  
ატარებს ქალაქის მთავრობა. მჭიდრო ურბან-  
იზაციის პირობებში განსაკუთრებით გაიზარდა  
მოთხოვნა მომხმარებლის მხრიან საცხოვრებელ  
სახლებსა და ბინებზე ქალაქებში. მოთხოვნის  
შესაბამისად დედაქალაქ თბილისსა და საქართ-  
ველოს სხვა მნიშვნელოვან ქალაქებში (ბათუმი)  
დაიწყო მშენებლობათა ბუმი. ქაოსურმა მშენებ-  
ლობები ქმნიან ეკოლოგიურ პრობლემებს, რაც  
გაუსაძლისს ხდის მოქალაქეების ყოფა ცხოვრე-  
ბას. აქედან გამომიდინარე აქტუალურია სამშენ-  
ებლო საქმიანობის რეგულირება საქართველოში.  
ნინამდებარე სტატიაში განხილულია ურბანული  
პოლიტიკა, რომელსაც ატარებდნენ დედაქალაქ  
თბილისში დაარსებიან დღემდე. სტატიაში გაან-  
დლი ზებულია სამართლებრივი აქტები რომელიც  
არეგულირებენ სამშენებლო დეველოპმენტს თა-  
ნამედროვე საქართველოში.

**საკვანძო სიტყვები:** ურბანიზაცია, დეველოპ-  
მენტი, მშენებლობა, თბილისი

### ABSTRACT

In the modern world within the development processes of urbanization, it becomes actual urbane

politics, which is implemented by the governments of the cities. In tight urbanization conditions, it is especially increased demand from the customer to the flats and homes in the cities. Accordingly, to the demand from the customers in the capital of Georgia Tbilisi and other important cities of Georgia (for example Batumi) begin massive construction processes. Chaotic buildings create ecological problems, which makes environments in bad conditions to live. Therefore, it is very actual how is regulating construction in Georgia. In the precede article it is discussed urbane politic, which is implemented in the capital of Georgia from the founded to the present time. In the article analyzed legal acts which are regulating construction development in Georgia.

**Key words:** urbanization, development, construction, Tbilisi

თბილისი უძველესი ქალაქია, რომელიც არ-  
ქოლოგიური ცნობების მიხედვით, ჯერ კიდევ IV ათასწლეულში იყო დასახლებული. თბილი-  
სის ქალაქთმშენებლობა გამოირჩევა მრავალ-  
ფეროვნებითა და თავისებურებებით, რომელიც  
ეფუძნება მშენებლობის მრავალსაუკუნოებან  
ტრადიციებს. თბილისის ქალაქთმშენებლო-  
ბის ტრადიციება ჩამოყალიბება დაიწყო ქალაქის

დაარსებისთანავე, რამაც განვითარება პპოვა შუასაუკუნეების პერიოდში. ქალაქის განაშენიანების ფორმირებაში წვლილი შეითანა ქალაქის მდებარეობამ, დედაქალაქის რელიეფმა, სავაჭრო გზებმა რომელიც გადიოდა ჩვენს დედაქალაქზე. [1]

თბილისი შუასაუკუნეების განვმავლობაში ყალიბდებოდა გალავნის შიდა სივრცეში. მან გაიარა ფეოდალური ქალაქისთვის დამახასიათებელი ყველა ეტაპი. შუა საუკუნეების პირველ ხანებში თბილისი წარმაოდგენდა ციხე – სიმაგრეს, რომელიც მოიცავდა ორ ძირითად დასახლებას. ესენი იყო უძველესი დასახლება თბილისი და კალა. კალა წარმაოდგენდა გამაგრებულ ტერიტორიას. აღსანიშნავია, რომ დღემდე არის შემორჩენილი კალას ნანგრევები და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ძველი თბილისის სილუეტში. განსაკუთრებით მიმზიდველია ის ტურისტებისთვის.

მე-6 საუკუნისთვის თბილისის ორ ნაწილს დაემატა მესამე ნაწილი, რომელიც მდებარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. მას უწოდებდნენ სოლდებილს, დღევანდელი ისნის ტერიტორია. ამ პერიოდში გაიზარდა კალაუბანიც. კალაუბანი ციხე-სიმაგრის ფარგლებს გასცდა და დღევანდელ ბარათაშვილის ქუჩამდე მიაღწია. ამ პერიოდში ხდება მეტების აშენება, რომელიც მოგვიანებით ქალაქის განაშენიანების ძირითად ღერძაც ჩამოყალიბდა მტკვრის გასწვრივ.

VII საუკუნეში მტკვრის კალაპოტის შევიწროვების ადგილას უკვე არსებობდა ხიდი, რომელიც აკავშირებდა კალაუანს მტკვრის მარცხენა სანაპიროსთან, დღევანდელი ავლაბრის ტერიტორია. ისტორიული ცნობების მიხედვით ამ სქემით თბილისი შუა საუკუნეების გვიან პერიოდამდე განაგრძობდა ფუნქციონირებდა. ვახუშტი ბატონიშვილის გეგმის მიხედვით რომელიც თარიღდება 1735 წლით, თბილისი სამი ნაწილისგან შედგებოდა: კალა, აპანოთუბანი და სეიდაბადი. მტკვრის მხარეს თბილის არ ჰქონდა გალავანი, ვინაიდან ამ მხარეს კლდოვანი ნაპირი ეკვრიდა და კალაში შეღწევა რთული იყო.

ძველი თბილისის დაგეგმარება ფეოდალური ქალაქისთვის დამახასიათებელი იყო. მას ჰქონდა საკმაოდ რთული და დახლართული ქუჩები და ქუჩაბანდები. ამის მიუხედავად მაინც იყო შესაძლებელი ცენტრალური ქუჩებისა და მოედნების გამოყოფა. კალაუბანი წარმოადგენდა ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას, სადაც გზის ორივე მხარეს

სავაჭრო და სახელოსნო დახლები იყო ჩამწერივებული. ქუჩების აღნიშნული სისტემა კალაუბანს “ზემო” და “ქვემო” უბნად ჰყოფდა. [3]

კალაუბანში ორი მთავარი მოედანი იყო. ერთი მოედანი ქვემო უბანში მდებარეობდა, დღევანდელი გორგასალის მოედნის ადგილას, მას უწოდებდნენ ციხის ან თათრის მოედანს. მეორე მოედანს უწოდებდნენ ბატონის ან მეფის მოედანს, რომელიც თანამედროვე ანჩისხატისა და სიონს შორის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

თბილისი დაარსებიდანვე ხაზოვნად ვითარდებოდა. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაბყრობამ მისცა ბიძგი, რომ თბილისი ფართოდ განვითარებულიყო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, მაღალ მიკროკლიმატურად და რელიეფური თვალსაზრისით უფრო მოსახერხებელ ადგილას.

თავდაპირველი სტრუქტურული სქემა და ქუჩების ქსელი დღემდე აქვს შემორჩინილი თბილის. აღნიშნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად არის მიჩნეული.

XIX საუკუნეში საქართველოში დაიწყო არამხოლიდ ურბანული პოლიტიკის არამედ, ძირეული ცვლილებები, რომელსაც მოჰყვა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები.

მას შემდეგ რაც, საქართველი რუსეთის მმართველობის ქვეშ მოქეცა, თბილისი გადაიკცა ამიერკავკასიის უმთავრეს ადმინისტრაციულ-კულტურულ ცენტრად. ეს იყო ახალი ერა დედაქალაქის განვითარებაში, როდესაც თბილისმა დაიწყო ეკროპულ-კაპიტალისტურ ქალაქად გარდაქმნა.

მე-19 საუკუნეში დედაქალაქი სწრაფად იზრდეოდა. მოიშალა ქალაქის ზღუდეები და კარი. დედაქალაქს შემოუერთდა ახალი უბნები, სოლოლაკის ბაღები და დღევანდელი რუსთაველის გამზირის ტერიტორია. ასევე ქალაქმა მიიერთა სოფლები ჩუღურეთი და კუკია, მოგვიანებით ქალაქის ტერიტორიაში მოქეცა ვერე, დიდუბე და ნავთლული. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20-ის დასაწყისისთვის აშენდა რკინიგზის სადგური, ფაბრიკები, სახელოსნოები. აიგო ახალი სავაჭრო შენობები. ამასთანავე დაარსდა სხვადასხვა სახის სასწავლებლები, გიმნაზიები, ინსტიტუტები, ლიცეუმები და ა.შ. თბილისში მოხდა კულტურული საზოგადოებისა და დაწესებბულებების თავმოყრა მთელი საქართველოს მასშტაბით. სიახლეებ-

მა ასახვა ჰქონდა, როგორც ქალაქის ურბანისტიკაში ასევე, არქიტექტურაში. შეიცვალა ქალაქის ხუროთმოძღვრული სახე.

თბილისის ძველ უბნებს თუ მიხვეულ-მოხვეული სახე აქვთ, არის ჩახლართული და ვიწრო ქუჩები, თანამედროვე ურბანისტიკა ხასიათდებოდა გეგმარებით. თბილისის არქიტექტურა სტილისტურად მე-19 საუკუნეში რუსეთსა და ევროპული ქალაქების მსგავსია. მე-19 საუკუნის ბოლოსკენ კი თბილისში ერთდროულად გვხვდება, რუსული კლასიცისტური, რენესანსისა და ბაროკული არქიტექტურული ფორმები. ამავდროულად შეინიშნება გოთური და ისლამური სტილიზაციაც. მე-20 საუკუნის დასაწყისისკენ კი თბილისში შემოდის მოდერნის სტილი.

მე-19 საუკუნეში ახალი თბილისის ხუროთმოძღვრული სახის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს უცხოელმა ხუროთმოძღვრებმა: ჯვევანი სკუდიერიმ, ჯუზეპე ბერნადაჩიმ, ოტო იაკობ სიმონსონმა, ალბერტ ზალცმანმა, ლეოპოლდ ბილფელდმა და ა.შ. უცხოელ ხუროთმოძღვრებს შორის განსაკუთრებული კვალი გერმანელმა ხუროთმოძღვრებმა დატოვეს.

პირველად თბილისის განაშენიანების ინდივიდუალური გეგმა შეიქმნა 1890-1913-იან წლებში. ალნიშნული გეგმა მოიცავდა ახალი რაიონების განაშენიანების საპროექტო წინადადებებსაც. ამ დროს დაიწყო პირველი საზოგადოებრივი ბალების გაშენება, როგორებიც იყო: ალექსანდროვის, ორთაჭალის, მუშტაიდისა და ხუდადოვის.

1920-იან წლებში დაიწყო ქალაქთმშენებლობის პრინციპების ჩამოყალიბება, რომლის მიხედვითაც, უნდა აშენებულიყო საცხოვრებელი კვარტლები. საცხოვრებელ კომპლექსების პროექტებში უნდა მომხდარიყო სკოლების, ბაღების, მაღაზიების, კულტურის სახლების საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს გაშენება. ასევე ყურადღება ექცევოდა ფართო გამნვანებულ შიდა ეზოებს, რომლებიც უნდა მოწყობილიყო საცხოვრებელი კომპლექსების სიახლოვეს.

1933 წლისთვის ქუჩების უმეტესობა იყო ძალიან ვიწყო, მათ შორის სიგანე ძლივს აღწევდა 8 მეტრს, ასევე ასფალტის საფარით ქუჩების ძალიან მცირე ნაწილი იყო დაფარული. საცხოვრებელი კვარტლები ქაოტურად იყო გაშენებული, იყო ძალიან მჭიდრო დასახლებები, სადაც სიმჭიდროვე აღწევდა 10 000 მაცხოვრებელს ერთ ჰექტარზე. ქალაქი უმეტესად გაშენებული

იყო ერთსაართულიანი (62.2%) და ორსართულიანი (29.1%) სახლებით. შესაცვლელი იყო ქალაქის წყალსადენი, კანალიზაცია, სანიაღვრები. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას ესაჭიროებოდა ცვლილება და განვითარება.

1934 წელს დაამტკიცეს თბილისის პირველი გენერალური გეგმა, რომელმაც განაპირობა ქალაქთმშენებლობაში ახალი ეტაპის დაწყება. პირველი გენგეგმა აგრძელებს ქალაქის ხაზოვანი განვითარების ტერიტორიებს: ქალაქი და გეგმარებულია მდ. მტკვრის გასწვრივ, განივი შესვლებით ხეობაში, ხელსაყრელი ტერიტორიების ათვისებით და მდინარეზე ორმხრივი განაშენიანების მძლავრი კავშირებით. გენგეგმაზე მონიშნულია: “თბილისის ზღვა” და განვითარებულია რეკრიაციული ზონით, ქალაქის სხვა ფუნქციური ზონები, მთავარი მაგისტრალები ხაზოვანი საზოგადოებრივი საქმიანი სივრცით და განივი განვითარების ცენტრულობით. [3]

1954 წელს მოხდა თბილისის მეორე გენერალური გეგმის დამტკიცება. აღნიშნული იმეორებდა და აგრძელებდა პირველი გენგეგმის ტრადიციებს, თუმცა ის უფრო მექანიკურად აგრძელებდა პირველი გენგეგმის პრინციპებს და ნაკლებად ერგებოდა იმ პერიოდის გამოწვევებს, რომლებიც იდგა ქალაქ თბილისის წინაშე.

ამ პერიოდში ქალაქის განვითარება ხდებოდა უსწრაფესად, მოხდა დილომის, ავჭალა-გლდანის, ლილოს ტერიტორიების ათვისება. განვითარდა და ათვისებულ იქნა საბურთალოს, ღრმა-ლელესა და 26 კომისრების ტერიტორიები.

1956 წელს საბურთალოს ტერიტორიაზე დაიწყო მრავალსართულიანი სახლების მშენებლობები კვარტლური სახით. არქიტექტორები იყვნენ შ. ყავლაშვილი, ა. ბაქრაძე დ. გრძელიძე, ი. ყავლაშვილი. საცხოვრებელ კომპლექსებში შეიდოდა გამწვანებული ტერიტორია, სპორტული და სათამაშო მოედნები, საცურაო აუზები და ა.შ.

ქალაქის წრაფმა ზრდამ, ახალი საცხოვრებელი კომპლექსების გაშენებამ, საბურთალოს, დილომისა და ღრმა ლელის ტერიტორიაზე, წარმოშვა ახალი გენგეგმის შემუშავების აუცილებლობა. ახალ გენგეგმაზე მუშაობა 1962 წელს დაიწყო, რომელიც გათვალისწინებულია ყოფილიყო 1970-2000 წლებისთვის.

ახალი გენერალური გეგმის მიხედვით თბილისში შედიოდა დილომის, გლდანის, ავჭალის, ვარკეთილის ტერიტორიები. ქალაქი მოთავსე-

ბული იყო მთებისა და ხეობების მიერ შემოფარგლულ ბუნებრივ ფარგლებში.

დღევანდელ დღეს თბილისი სწრაფი ტემპით ვითარდება. განსაკუთრებული მოთხოვნა დედაქალაქში არის საცხოვრებელ ბინებზე ქალაქის ცენტრალურ უბნებში. ამის საპასუხოდ, თბილისის ცენტრალურ ზონებში ხდება მრავალ-სართულიანი სახლების მშენებლობა. ხშირად, დარღვეულია ქალაქის გენგეგმის პრინციპები. უზარმაზარი საცხოვრებელი კორპუსები ერთ-მანეთან ძალიან ახლოს გვერდიგვერდ არის აშენებული. უგულებელყოფილია სამშენებლო კანონის მოთხოვნები, რომ კორპუსები მინიმუმ 6 მეტრით მაინც უნდა იყვნენ დაშორებულნი. კორპუსების გაცხოველებული მშენებლობის გამო, თითქმის უგულებელყოფილია მოსასვენებელი გამწვანებული ტერიტორიების მოწყობა საცხოვრებელ სახლებთან. ახალი კორპუსების ნაწილს არ გააჩნია ავტომობილებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. ავტომობილები ქუჩაში ჰყავთ გაჩერებული ადგილობრივ მაცხოვებლებს, რაც თითქმის მიუვალს ხდის საცხოვრებელ კორპუსებს. დილისა და სალამოს საათებში კორპუსებთან იქმნება საცობები. ქვეითთათვისაც კი შეუძლებელია გადაადგილება. აღნიშნულის შესანიშნავი მაგალითია, სპორტის სასახლის უკან გაშენებული ე.ნ. „ბეტონის ჯუნგლები“. საცხოვრებელი კორპუსების ტიპობრივი მშენებლობა ქალაქს უკარგავს იერსახეს. ერთნაირი არქიტექტორული ნაგებობების განთავსება ამასინ ჯებს ქალაქს, გაღიზიანებას იწვევს ადგილორივ მაცხოვრებლებში. დედაქალაქი უინტერესო ხდება ტურისტებისთვის.

თბილისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სატრანსპორტო საშუალებების დიდი რაოდენობა, საპარკინგე ადგილების ნაკლებობა, რაც ქმნის საცობებს და იწვევს როგორც ეკონომიკური ასევე ეკოლოგიური თვალსაზრისით ზარალს. თბილისში სულ უფრო იზრდება ხმაური, მომატებულია ჰაერის დაბინძურების დონე, ენერგორესურსების მოხმარება გაზრდილია, ხდება ქალაქის ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის გადატვირთვა.

ურბანული პოლიტიკა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ქალაქმა მოიზიდოს დეველოპერები და ინვესტორები. ქალაქის ჰარმონიული განაშენიანება და განვითარება ურბანული პოლიტიკის გარეშე შეუძლებელია. ქალაქით-

შენებლობის პოლიტიკისთვის საფუძველს წარმოადგენს გენერალური გეგმა. გენერალური გეგმის შემუშავების დროს დაშვებული თითოეული შეცდომა შეიძლება ძვირად დაუჯდეს ქალაქს.

ქალაქ თბილისის მერის, დავით ნარმანიას განცხადებით ახალი გენერალური გეგმა თბილის 2017 წელს ექნება. გენერალურ გეგმაზე მუშაობა 2016 წელს დაიწყო.

თბილისის მერის თქმით, დოკუმენტზე საერთაშორისო კონსორციუმი და დარგის 200-მდე სპეციალისტი მუშაობს.

„გეგმა ისეთ ძირეულ პრინციპებს ითვალისწინებს, როგორიცაა: თბილისი, - ჯანმრთელი, მწვანე, ტოლერანტული, საცხოვრებლად მოსახერხებელი, კომპაქტური, რესურს - დამზოგავი, ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული უნიკალურობის შენარჩუნებაზე ორიენტირებული, „ჭკვიანი ქალაქი“ (შმარტ ციტყ). „თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ნესებში“ განხორციელდა ცვლილებები, რის შედეგადაც ქალაქის ცენტრალურ ნაწილში საცხოვრებელ სახლებზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გაზრდაზე შეზღუდვა დაწესდა“, - განაცხადა დავით ნარმანიამ. [7]

საქართველოში ჯერ-ჯერობით საკმაოდ სუსტია კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს სამშენებლო პროცესების დარეგულირება. კანონი სამშენებლო საქმიანობის შესახებ მოითხოვს დახვენასა და ცვლილებების შეტანას. აღნიშნული კანონი შედგება მხოლოდ 4 გევრდისაგან, ის მიღებულ იქნა 2000 წელს ედუარდ შევარდნაძის მთავრობის მიერ, რომლის შესწორება აღარ მომხდარა. 2014 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა დადგენილება „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“. ამ დადგენილების მიზანია: „სამშენებლო საქმიანობისთვის ტერიტორიებისა და მინის ნაკვეთ(ების) გამოყენების სპეციფიური პირობების დადგენა. აღნიშნული პირობები ასახულ უნდა იქნეს ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებში“. [4] აღნიშნულ დადგენილებაში არის განსაზღვრული მშენებლობებზე ნებართვების გაცემის პირობები, მოცემულია წესები, რომელთა შესრულებით უნდა მოხდეს სამშენებლო პროცესის წარმართვა.

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე დასახლებათა ტერიტორიები იყოფა:

- ა) ზოგად ფუნქციურ ზონებად:
- ა.ა) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა – (ლსზ);
  - ა.ბ) სასოფლო-სამეურნეო ზონა – (სოფზ);
  - ა.გ) სარეკრეაციო ზონა — (რზ);
  - ა.დ) საკურორტო-სარეკრეაციო ზონა – (სრზ);
  - ა.ე) სპეციალური ზონა – (სპეცზ);
  - ა.ვ) საცხოვრებელი ზონა – (სზ);
  - ა.ზ) სატრანსპორტო ზონა – (ტზ);
  - ა.თ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა – (სსზ);
  - ა.ი) სამრეწველო ზონა – (ს);
  - ა.კ) სანიტარული ზონა — (სანზ);
  - ა.ლ) სამხედრო დანიშნულების ზონა – (სდზ).
- ბ) კონკრეტულ ფუნქციურ ზონებად:
- ბ.ა) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა' – (ლსზ');
  - ბ.ბ) სასოფლო-სამეურნეო ზონა' – (სოფზ');
  - ბ.გ) სარეკრეაციო ზონა' — (რზ');
  - ბ.დ) საკურორტო-სარეკრეაციო ზონა 1 (სრზ-1)
  - ბ.ე) საკურორტო-სარეკრეაციო ზონა 2 (სრზ-2)
  - ბ.ვ) სპეციალური ზონა' – (სპეცზ');
  - ბ.ზ) საცხოვრებელი ზონა 1 — (სზ-1);
  - ბ.თ) საცხოვრებელი ზონა 2 — (სზ-2);
  - ბ.ი) საცხოვრებელი ზონა 3 — (სზ-3);
  - ბ.კ) საცხოვრებელი ზონა 4 — (სზ-4);
  - ბ.ლ) საცხოვრებელი ზონა 5 — (სზ-5);
  - ბ.მ) საცხოვრებელი ზონა 6 — (სზ-6);
  - ბ.ნ) სატრანსპორტო ზონა 1 – (ტზ-1);
  - ბ.ო) სატრანსპორტო ზონა 2 – (ტზ-2);
  - ბ.პ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 – (სსზ-1);
  - ბ.ჟ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 – (სსზ-2);
  - ბ.რ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 – (სსზ-3);
  - ბ.ს) სამრეწველო ზონა 1 – (ს-1);
  - ბ.ტ) სამრეწველო ზონა 2 – (ს-2);
  - ბ.უ) სანიტარული ზონა' — (სანზ');
  - ბ.ლ) სამხედრო დანიშნულების ზონა 1 – (სდზ-1);
  - ბ.ქ) სამხედრო დანიშნულების ზონა 2 – (სდზ-2). [5]

აღნიშნული დაყოფა ზოგად ფუნქციურ ზონებად ასახულ უნდა იქნას მინათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამის დოკუმენტებში.

დადგენილებაში მოცემულია, რომ როდესაც კონკრეტული მიწის ნაკვეთი არ ხვდება დასახლებათა ტერიტორიები მიწათსარგებლობის კონკრეტული უფლებრივი ზონირების დოკუმენტების საზღვრებში, ასეთი ტიპის ნაკვეთებზე სამშენებლო საქმიანობის დაწყებამდე აუცილებელია მოხდეს მიწის ნაკვეთის პერიმეტრის 50 მეტრის გარშემო არსებული ტერიტორიის კვლევა. კონკრეტული მიწის ნაკვეთის 50 მეტრის პერიმეტრში არსებული განაშენიანების კვლევა, რაც მოიცავს აერტოფოტო გადაღებასა და საკვლევი ტერიტორიის ტოპოგრაფიულ გეგმას, საკვლევ ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტს, საკვლევ ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტებს და ა.შ. [5] თუ დეველოპერული კომპანია მშენებლობას განახორციელებს დადგენილებაში მოცემული მუხლებისგან შეუსაბამოდ, ასეთი ტიპის შენობა-ნაგებობებს მიენიჭებათ (იძულებითი) შეუსაბამოს სტატუსი. რომლის შემდგომში განვითარება მოხდება მხოლოდ შეუსაბამობის აღმოფხვრის ან შემცირების კუთხით.

დადგენილებაში „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ აღნიშნულია მშენებლობების სახეობები, რომლებიც ხორციელდება საქართველოში. ესენია:

- ბ) რეკონსტრუქცია;
- გ) რემონტი - შეკეთება, მოპირკეთება/აღჭურვა (არ საჭიროებს ნებართვას);
- დ) დემონტაჟი;
- ე) ლანდშაფტური მშენებლობა;
- ვ) დროებითი შენობა-ნაგებობების მონტაჟი/განთავსება. [6]

შენობა-ნაგებობები, აგრეთვე სამშენებლო სამუშაოებები კანონის მიხედვით დაყოფილია 5 კლასად:

- ა) I კლასი – შენობა - ნაგებობები, რომლებიც მშენებლობის ნებართვას არ საჭიროებს;
- ბ) II კლასი – შენობა - ნაგებობები რისკის დაბალი ფაქტორით;
- გ) III კლასი – შენობა - ნაგებობები რისკის საშუალო ფაქტორით;
- დ) IV კლასი – შენობა - ნაგებობები რისკის მაღალი ფაქტორით;
- ე) V კლასი – შენობა - ნაგებობები რისკის მეტებული ფაქტორით (განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა - ნაგებობები). [6]

კანონის მიხედვით, აუცილებელია დეველოპერულმა კომპანიამ მოახდინოს ექსპერტების მოწვევა, რათა მათ მოახდინონ დეველოპერული პროექტის შეფასება. სავალდებულო შეფასება არის სამი სახის:

- ა) მშენებლობის განხორციელებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის საექსპორტო შეფასება;
- ბ) მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში სამშენებლო ეტაპების საექსპერტო შეფასება;
- გ) დამკვეთისათვის უნებართვოდ აშენებული შენობა-ნაგებობების ან მათი ნაწილების
- დ) ექსპლუატაციაში მიღების შემთხვევაში სავალდებულო საექსპერტო შეფასება მინის ნაკვეთის
- ე) სამშენებლოდ გამოყენების პირობებისა და სამშენებლო რეგლამენტებთან შესაბამისობის შესახებ. [6]

დეველოპერულმა კომპანიამ იმისთვის რომ მიიღოს ნებართვა მშენებლობაზე საჭიროა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

- ა) განცხადებაში მინის ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის ასახვა;
- ბ) საპროექტო სამუშაოებისათვის საჭირო საწყისი მონაცემების მოძიება;
- გ) მინის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების პროექტის მომზადება;
- დ) „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად სათანადო სამშენებლო დოკუმენტის პროექტის შედგენა და წარდგენა;
- ე) საჭიროების შემთხვევაში თანამესაკუთრ(ეებ)ის თანხმობის წარდგენა;
- ვ) საჭიროების შემთხვევაში სამშენებლო დოკუმენტები ცვლილებების შეტანა;
- ზ) შენობა-ნაგებობაზე მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესრულების საჯაროობა;
- თ) კანონმდებლობით განსაზღვრული მშენებლობის განხორციელებასთან დაკავშირებული საჭირო სხვა მოთხოვნების შესრულება.

სანამ დეველოპერული კომპანია დაიწყებს მშენებლობის პროცესს კი უნდა მოახდინოს შემდეგი ინფორმაციის მოძიება:

- ა) სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;
- ბ) საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად;
- გ) სავალდებულო საექსპერტო შეფასების განხორციელება ამ დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად;
- დ) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” დადგენილების 61-ე მუხლის შესაბამისად;
- ე) შენობა - ნაგებობის კონსტრუქციული პროექტი ან სქემა შენობა - ნაგებობის კლასის მიხედვით. [6]

დადგენილებაში “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” დეტალურად არის განერილი თუ რას წარმოადგენს I, II, III, IV და V კლასის შენობა-ნაგებობები, როგორ უნდა მოხდეს კონკრეტული კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე ნებართვის გაცემა, რა სახის დოკუმენტაციის უნდა ფლობდეს დეველოპერული კომპანია; რა ტიპის პროცედურები უნდა გაიაროს მან, რომ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანომ გასცეს ნებართვა მშენებლობის შესახებ.

საქართველოს კანონმდებლობა ჯერ-ჯერბით არ ითვალისწინებს სამშენებლო რეგულაციებს, რომლის მიხედვითაც დეტალურად იქნება განსაზღვრული, თუ რა ხარისხის სამშენებლო მასალა უნდა იქნას გამოყენებული სამშენებლო პროცესში. რა წესების დაცვით უნდა მოხდეს სამშენებლო პროცესის წარმართვა, რათა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის პერიოდში მთლიანად იქნას უზრუნველყოფილი უსაფრთხოება. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირის ქვეყნებში დეტალურად არის განსაზღვრული საკანონმდებლო რეგულაციებში მოთხოვნები და წესები რის მიხედვითაც უნდა მოხდეს მშენებლობა. სამშენებლო კანონის გამკაცრებას შედეგი ექნება ის, რომ ველარ განხორციელდება ისეთი მასიური სამშენებლო პროცესი, როგორიც

ხორციელდება დღესდღეობით. დეველოპერული კომპანიების უმეტესობა ვერ შეძლებს მკაფიო მოთხოვნების შესრულებას. შემცირებული სამშენებლო პროექტების ფონზე გაიზრდება ფასი უძრავ ქონებაზე, რაც იქნება უარყოფითი მოვლენა საქართველოს მოქალაქეებისთვის ეკონომიკური თვალსაზრისით; ვინაიდან უძრავ ქონებაზე მოთხოვნა მზარდია, განსაკუთრებით კი საქართველოს დედაქალაქ თბილისში. მეორე მხრივ, რეგულაციების შემოღება და გამკაცრე-

ბა უზურნველყოფს მაღალი ხარისხის სამშენებლო პროდუქტს, რომლის საექსპლუატაციო ვადა იქნება უფრო ხანგრძლივი, რაც ასევე თავისთავად არის ფასის ზრდის საფუძველი. თავდაპირველად, რეფორმები ყოველთვის არის მტკიცნეული და იწვევს მოქალაქეების გარკვეულ ნაწილში უკმაყოფილებას, თუმცა საბოლოოდ კარგი რეფორმის შედეგად მიღებული შედეგი არის ეფექტური მოქალაქეებისთვის და ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის.

#### ლიტერატურა/REFERENCES

- [1]. ბერიძე გ. „გეგმარებითი ტრადიციები XIX ს. თბილისის ქალაქთმშენებლობაში“ ჟურნალი „ქართული ხელოვნება“, სერია , №9, 1991
- [2]. ბერიძე გ. „გეგმარებითი ტრადიციები XIX ს. თბილისის ქალაქთმშენებლობაში“ ჟურნალი „ქართული ხელოვნება“, სერია , №9, 1991
- [3]. ოქუაშვილი ნ. „ქ. თბილისის ქალაქთმშენებლობის განვითარება (ეტაპები, ტენდენციები, პროგნოზი)“, დისერტაცია, თბილისი 2011
- [4]. საქართველოს მთავრობის დადგენილება „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ 2014 წ. მუხლი 4. პუნქტი 1.
- [5]. საქართველოს მთავრობის დადგენილება „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“
- [6]. საქართველოს მთავრობის დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, 2009 წ.
- [7]. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2017 წანაზია 12.04.2017 <http://tas.ge/?p=content&type=3&news=71350>
- [8]. [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge)
- [9]. [www.tbilisi.gov.ge](http://www.tbilisi.gov.ge)